

როკიპნოლი

რა არის როკიპნოლი?

როკიპნოლი არის ძლიერი ტრანკვილიზატორი. იგი ენათესაება დიაზეპამს, თუმცა ბევრად უფრო ძლიერია. მცირე დოზის მიღების შემდეგაც კი გაქვს ძლიერი ძლიანობა და გონების დაბინდვა.

არსებობის ფორმები

როკიპნოლი არის თეთრი, უსუნო, ხსნადი, უგემო ტაბლეტები.



როკიპნოლის ზემოქმედება

ერთი ტაბლეტი თავისი მოქმედებით დაახლოებით ექვს ყუთ ლუდს უტოლდება და მისი ზემოქმედება მ საათამდე გრძელდება.

ერთი ტაბლეტის მიღების შემდეგ შენ უკვე გულისრევას, სიცხეს, თავბრუსხვევას და დეჰიდრატაციას გრძნობ.

თუ ერთზე მეტ ტაბლეტს მიიღებ, მთვრალივით ხარ და კარგავ დამახსოვრების უნარს.

ერთ ტაბლეტს შეუძლია გააჩეროს სუნთქვა.

როკიპნოლიმა და ალკოჰოლიმა ერთად შეიძლება გამოიწვიოს კომა!

როკიპნოლი და დამოკიდებულება

სხვა ტრანკვილიზატორებისაგან განსხვავებით, როკიპნოლი იწვევს ფიზიკურ და ფსიქიკურ დამოკიდებულებას.

სამართლებრივი მდგომარეობა

როკიპნოლი ექვემდებარება კანონით კონტროლს ისევე, როგორც ნარკოტიკული საშუალებები, ამიტომ მისი ექიმის რეცეპტის გარეშე ფლობა ან გავრცელება კანონით ისჯება.



თუ რაიმე პრობლემები შეგექმნა

გულის წასვლა - თუ შენი მეგობარი სუნთქავს, დააწვინე იგი როგორც ეს 134 გვ-ზეა ნაჩვენები. დაურეკე სასწრაფოს! იყავი მზად, გაცოცხლო შენი მეგობარი, თუ მან სუნთქვა შეწყვიტა.